ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48253636**

თარიღი:**29/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბო არენას (ს/კ 421268014) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 სექტემბრის №31 3313 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის № გ-49.49253607 განკარგულების; „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს (ს/კ 421268014) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 29 ივლისის ბ48.482421118 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და „წყალტუბო არენა”-ს დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის №35-482535683 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბო არენას (ს/კ 421268014) საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 სექტემბრის №31 3313 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს დირექტორს (პ.ბუჭუხიშვილი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი